პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ _____ ივლისი _____ 2025 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (ავტომანქანა - TOYOTA PRADO) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის ,,ე.ე" ქვეპუნქტის, 108-ე მუხლის პირველი პუნქტის, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2025 წლის 17 ივლისის №20/37018 და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის ---- ივლისის ---------- წერილობითი მომართვების შესაბამისად:

მუხლი 1. გადაეცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ, საკუთრებაში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება, კერძოდ: ავტომანქანა - TOYOTA PRADO; სახელმწიფო ნომერი - WW077OW; სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი JTEBU29J205134771; რუხი ფერის; საწვავის ტიპი - ბენზინი; გამოშვების წელი - 2008; ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიისათვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქონების გადაცემის მიზნით, უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

მუხლი 3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 7. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი — დავით ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების
(ავტომანქანა - TOYOTA PRADO) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ,
სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით

განმარტებითი ბარათი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში განხილული იქნა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მომართვა (N20/37018; 17.07.2025წ.), ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, (კერძოდ: ავტომანქანა - TOYOTA PRADO; სახელმწიფო ნომერი - WW077OW; სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი JTEBU29J205134771; რუხი ფერის; საწვავის ტიპი - ბენზინი; გამოშვების წელი - 2008) ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 06.09.2019 წლის №221 განკარგულებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 09.09.2019 წლის 2353 ბრძანების საფუძველზე, ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიას, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში, სათანადო ხელშეკრულებისა და მიღება-ჩაბარების აქტით, 2019 წლის სექტემბრის თვეში გადაეცა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება, კერძოდ, ავტომანქანა ,,TOYOTA PRADO" (სარეგისტრაციო ნომერი: WW077OW, გამოშვების წელი: 2008, ტრანსპორტის საინდენტიფიკაციო ნომერი JTEBU29J205134771). მთელი ამ ხნის განმავლობაში მუნიციპალიტეტი აღნიშნულ ავტომანქანას იყენებდა პირდაპირი დანიშნულებისამებრ. ამჟამად მისი ამორტიზაციისა და სიძველის გამო მწყობრიდანაა გამოსული: არ მუშაობს ძრავი, ჩაშლილია სიჩქარის კოლოფი, მწყობრიდანაა გამოსული სხვა სათადარიგო ნაწილები რომელიც არ ითვალისწინებს მის განზრახ დაზიანებას. მისი შემდგომი რეაბილიტაცია დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, ამასთან მუნიციპალიტეტის მიერ ვერ ხერხდება ავტომანქანის თავისი სვლით გადააგილება გამნათხოვრებლამდე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს წერილობით მიმართა ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერმა (N72-722516454; 13.06.25წ.) და ითხოვა აღნიშნული ავტომანქანის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის გზით, ჭიათურის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადაცემა შემდგომში გასხვისებისათვის.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, აღნიშნული ქონება გადაეცეს სახელმწიფოს, შემდგომში ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიისათვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

საქართველოს კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 108-ე მუხლის (**მუხლი 108** – მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სახელმწიფოსათვის ან/და ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა) პირველი პუნქტის შესაბამისად - „მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, მათ შორის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (შენობა-ნაგებობით ან მათ გარეშე), აგრეთვე წილები/აქციები (გარდა მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო ძირითადი (განუსხვისებელი) ქონებისა) სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცემა „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ქონების მმართველის დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე, ავტონომიურ რესპუბლიკას - ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიმართვის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით, ხოლო თბილისის შემთხვევაში - თბილისის მთავრობის გადაწყვეტილებით". ამავე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, ამავე პუნქტის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნაზე დასაბუთებულ დადებით ან უარყოფით გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

განკარგულების პროექტს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე წარმოადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი მ/შემსრულებელი ვალერიან სილაგაძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი

დავით ერემეიშვილი